

2024



შპს „თერა მოტორსი“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	1-3
--------------------------------------	-----

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	8
2. მომზადების საფუძველი.....	8
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9
4. არსებითი სააღრიცხვო დაშვებები	13
5. წინა პერიოდის მაკორექტირებელი გატარებები გასწორება და რეკლასიფიკაცია	14
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე:	15
6. ძირითადი საშუალებები.....	16
7. მარაგები	17
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	17
9. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	17
10. მიღებული სესხები.....	18
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	19
12. საგადასახადო აქტივი,წმინდა	19
13. შემოსავალი.....	19
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	19
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	20
16. მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	20
17. საკურსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა ზარალი	20
18. მოგების გადასახადის ხარჯი	21
19. პირობითი ვალდებულებები.....	21
20. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი	21
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	22

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თერა მოტორსი“-ს დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თერა მოტორსი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან ჩვენ არ დავნიშნულვართ აუდიტორებად 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიახლოებულ თარიღამდე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებით ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების არსებობასა, სისრულისა და მდგომარეობის შესახებ, აღნიშნული მარაგები მონაწილეობენ 2024 წლის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ფორმირებაში. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში, ასევე მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შემადგენელ შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (*ბესსს*) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და *ბესსს*-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანარი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წამოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

აუდიტის სხვა გარემოებები

კომპანიის წინა წლების ფინანსური ანგარიშგება არააუდიტირებულია. მიმდინარე ანგარიშგება - 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, არის პირველი ანგარიშგება რომლის აუდიტიც განხორციელდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. თუმცა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 510-ის (საწყისი აუდიტის სამუშაოები - საწყისი ნაშთები) მოთხოვნები შესრულებულია იმდენად, რომ დავრწმუნდეთ საწყისი მაჩვენებლები არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია წაკითხული უნდა იქნას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის აუდიტორის ანგარიშთან ერთად.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე ჩავატარეთ შენიშვნაში 5-ში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომელიც ეხება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. შესადარის ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.



Global

INDEPENDENT
ALLIANCE MEMBER

Cora Consulting LLC is an independent alliance member of CLA Global. See CLAGlobal.com/disclaimer.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სოფიკო ლუდუშაური (SARAS-A-835962)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

30 სექტემბერი 2025

თბილისი, საქართველო

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სოფიკო ლუდუშაური (SARAS-A-835962)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

30 სექტემბერი 2025

თბილისი, საქართველო

ს. ლუდუშაური

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 გადაანგარიშებული*	1 იანვარი 2023 გადაანგარიშებული*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	4,564,137	4,169,198
არამატერიალური აქტივები		-	172
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,564,137	4,169,198	1,910,794
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	9,626,202	5,484,525
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,472,184	2,526,626
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	579,374	870,787
გაცემული სესხები		-	-
საგადასახადო აქტივი, წმინდა		-	25,446
სულ მიმდინარე აქტივები	12,677,760	8,594,928	7,971,600
სულ აქტივები	17,241,897	12,764,126	9,882,394
კაპიტალი და ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	2,011,573	3,930,231
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2,011,573	2,654,774	3,930,231
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	2,606,525	569,773
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,844,843	344,513
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	12	486,997	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	4,938,365	2,330,571	914,286
სულ ვალდებულებები	6,949,938	4,985,345	4,844,517
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	10,156,959	7,643,781	4,902,877
პარტნიორთა კაპიტალი	135,000	135,000	135,000
სულ კაპიტალი	10,291,959	7,778,781	5,037,877
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	17,241,897	12,764,126	9,882,394

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 5.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

თენგიზ ანანიძე

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025



8-22 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი	13	28,859,116	23,663,607
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(22,804,219)	(17,986,181)
საერთო მოგება		6,054,897	5,677,426
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,389,648)	(968,383)
მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	16	(1,390,718)	(909,097)
სხვა შემოსავალი		6,441	-
სხვა ხარჯები		(65,630)	-
საოპერაციო მოგება		3,215,342	3,799,946
საპროცენტო ხარჯი	10	(507,950)	(360,082)
საპროცენტო შემოსავალი		2,756	2,489
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		367,827	52,145
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(167,723)	(180,988)
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		-	1,183
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	17	(160,010)	(162,234)
მოგება დაბეგრვამდე		2,750,242	3,152,459
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		2,750,242	3,152,459

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 5.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

თენგიზ ანანიძე

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025



8-22 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული ზარალი)	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	135,000	4,902,877	5,037,877
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,152,459	3,152,459
დივიდენდის გაცემა	-	(411,555)	(411,555)
2023 წლის 31 დეკემბერი	135,000	7,643,781	7,778,781
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,750,242	2,750,242
დივიდენდის გაცემა	-	(237,064)	(237,064)
2024 წლის 31 დეკემბერი	135,000	10,156,959	10,291,959

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 5.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

თენგიზ ანანიძე

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025



2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2024	2023 *გადაანგარიშებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		2,750,242	3,152,459
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან რეკონსილაციისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6	236,146	105,441
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა (მოგება)/ზარალი	19	160,010	162,234
ფინანსური ხარჯი	10	507,950	360,082
ნელა მოძრავი მარაგების რეზერვის წმინდა ცვლილება	7	176,650	388,579
საჭვო მოთხოვნების რეზერვის წმინდა ცვლილება	8	59,189	120,570
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული (მოგება) / ზარალი		-	1,183
ძირითადი საშუალებების გასვლა	6	1,398	-
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
(ზრდა) / შემცირება - სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, სხვა აქტივების	8	(280,902)	155,450
(ზრდა) / შემცირება - გაცემულ სესხებში		133,489	(133,489)
შემცირება არამატერიალურ აქტივებში		-	172
(ზრდა) / შემცირება - მარაგების	7	(4,318,327)	(1,324,363)
შემცირება - სავაჭრო და სხვა ვალდებულებების	11	1,416,539	(95,034)
შემცირება - სალიზინგო ვალდებულებებში		-	-
ზრდა / (შემცირება) - წმინდა საგადასახადო ვალდებულებებში / საგადასახადო აქტივებში	12	182,937	329,505
გადახდილი პროცენტი	10	(525,441)	(353,607)
წმინდა ფულადი ნაკადების მიღება საოპერაციო საქმიანობიდან		499,880	2,869,182
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(632,483)	(2,415,938)
ფულადი ნაკადები ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-	50,738
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(632,483)	(2,365,200)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	10	11,190,251	12,938,826
სესხების დაფარვა	10	(10,707,161)	(13,073,572)
დივიდენდების გადახდა		(237,064)	(411,555)
წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული) / მიღებული საფინანსო საქმიანობაში		246,026	(546,301)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		113,423	(42,319)
სავალუტო კურსის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	19	(260,361)	(102,156)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვარს	9	726,312	870,787
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბერს		579,374	726,312

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 5.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

თენგიზ ანანიძე

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025



8-22 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 გადაანგარიშებული*	1 იანვარი 2023 გადაანგარიშებული*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	4,564,137	4,169,198	1,910,622
არამატერიალური აქტივები		-	-	172
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,564,137	4,169,198	1,910,794
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	7	9,626,202	5,484,525	4,548,741
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,472,184	2,250,602	2,526,626
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	579,374	726,312	870,787
გაცემული სესხები		-	133,489	-
საგადასახადო აქტივი, წმინდა		-	-	25,446
სულ მიმდინარე აქტივები		12,677,760	8,594,928	7,971,600
სულ აქტივები		17,241,897	12,764,126	9,882,394
კაპიტალი და ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	2,011,573	2,654,774	3,930,231
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,011,573	2,654,774	3,930,231
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	10	2,606,525	1,597,759	569,773
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,844,843	428,753	344,513
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	12	486,997	304,059	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,938,365	2,330,571	914,286
სულ ვალდებულებები		6,949,938	4,985,345	4,844,517
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		10,156,959	7,643,781	4,902,877
პარტნიორთა კაპიტალი		135,000	135,000	135,000
სულ კაპიტალი		10,291,959	7,778,781	5,037,877
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17,241,897	12,764,126	9,882,394

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 5.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

თენგიზ ანანიძე

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025

8-22 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი	13	28,859,116	23,663,607
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(22,804,219)	(17,986,181)
საერთო მოგება		6,054,897	5,677,426
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,389,648)	(968,383)
მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	16	(1,390,718)	(909,097)
სხვა შემოსავალი		6,441	-
სხვა ხარჯები		(65,630)	-
საოპერაციო მოგება		3,215,342	3,799,946
საპროცენტო ხარჯი	10	(507,950)	(360,082)
საპროცენტო შემოსავალი		2,756	2,489
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		367,827	52,145
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(167,723)	(180,988)
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		-	1,183
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	17	(160,010)	(162,234)
მოგება დაბეგრვამდე		2,750,242	3,152,459
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		2,750,242	3,152,459

* ზოგიერთი ნაწევნები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 5.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

თენგიზ ანანიძე

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025

8-22 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული ზარალი)	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	135,000	4,902,877	5,037,877
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,152,459	3,152,459
დივიდენდის გაცემა	-	(411,555)	(411,555)
2023 წლის 31 დეკემბერი	135,000	7,643,781	7,778,781
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,750,242	2,750,242
დივიდენდის გაცემა	-	(237,064)	(237,064)
2024 წლის 31 დეკემბერი	135,000	10,156,959	10,291,959

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 5.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

თენგიზ ანანიძე

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2024	2023 *გადაანგარიშებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		2,750,242	3,152,459
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან რეკონსილაციისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6	236,146	105,441
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა (მოგება)/ზარალი	19	160,010	162,234
ფინანსური ხარჯი	10	507,950	360,082
ნელა მოძრავი მარაგების რეზერვის წმინდა ცვლილება	7	176,650	388,579
საჭვო მოთხოვნების რეზერვის წმინდა ცვლილება	8	59,189	120,570
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული (მოგება) / ზარალი		-	1,183
ძირითადი საშუალებების გასვლა	6	1,398	-
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
(ზრდა) / შემცირება - სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, სხვა აქტივების	8	(280,902)	155,450
(ზრდა) / შემცირება - გაცემულ სესხებში		133,489	(133,489)
შემცირება არამატერიალურ აქტივებში		-	172
(ზრდა) / შემცირება - მარაგების	7	(4,318,327)	(1,324,363)
შემცირება - სავაჭრო და სხვა ვალდებულებების	11	1,416,539	(95,034)
შემცირება - სალიზინგო ვალდებულებებში		-	-
ზრდა / (შემცირება) - წმინდა საგადასახადო ვალდებულებებში / საგადასახადო აქტივებში	12	182,937	329,505
გადახდილი პროცენტი	10	(525,441)	(353,607)
წმინდა ფულადი ნაკადების მიღება საოპერაციო საქმიანობიდან		499,880	2,869,182
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(632,483)	(2,415,938)
ფულადი ნაკადები ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-	50,738
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(632,483)	(2,365,200)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	10	11,190,251	12,938,826
სესხების დაფარვა	10	(10,707,161)	(13,073,572)
დივიდენდების გადახდა		(237,064)	(411,555)
წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული) / მიღებული საფინანსო საქმიანობაში		246,026	(546,301)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		113,423	(42,319)
სავალუტო კურსის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	19	(260,361)	(102,156)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვარს	9	726,312	870,787
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბერს		579,374	726,312

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 5.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

თენგიზ ანანიძე

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025

8-22 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***1. ძირითადი საქმიანობა****(ა) კომპანია და მისი ოპერაციები**

„თერა მოტორსი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა (შემდგომში „კომპანია“), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2010 წლის 11 ივნისის შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით: 445386813.

კომპანიის იურიდიული მისამართი არის, საქართველო, ქ. ბათუმი, ივანე მესხის ქ., N 2.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ახალი და მეორადი საბურავების იმპორტი, ასევე ზეთების, ფილტრებისა და სხვა სათანადო ნაწილების რეალიზაცია და მათი შეცვლის მომსახურების უზრუნველყოფით.

ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში კომპანიის დირექტორი არის ჯაბა პაპიძე.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
თენგიზ ნაგერვაძე	50.00%	50.00%
რამინ ნაგერვაძე	50.00%	50.00%
	100.00%	100.00%

(ბ) ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი**(ა) შესაბამისობის განაცხადი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2024 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის საოპერაციო და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ქართული ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)****(დ) ფუნქციონირებადი საწარმო**

ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად და ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30
სატრანსპორტო საშუალებები	10
მანქანა-დანადგარები	8
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	30

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორცაა:

- კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების რეჟიმი;
- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
- ტექნიკური და ფიზიკური მოძველება;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიპოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ღირებულებით. ისინი შემდეგ ფასდება გარიგების ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვის თანხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დგინდება, როდესაც არის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი ვადების შესაბამისად.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 -365 დღე	1 წელზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	10%	25%	50%	100%

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონლი მეთოდით.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი (N5092-III) საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის ნაწილიც ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, 2016 წლის 1 ივნისიდან, ხოლო მოგების გადასახადთან დაკავშირებული ცვლილებები კი ძალაში შევიდა 2017 წლის 1-ლი იანვრიდან, რომელიც გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ცვლილების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც განაწილებული იქნა საქართველოს რეზიდენტ კომპანიებზე (ვისაც ცვლილება შეეხო). დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადის გამოანგარიშება ხდება განაწილებული თანხის 0.85-ზე გაყოფით. ამასთან, თუ რეზიდენტი საწარმო დივიდენდს განაწილებს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის მიხედვით გადასახდელი თანხისა. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შემენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტიანი სესხებს მიესადაგება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულებდა. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებდა, თუ ანგარიშწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებდა, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

შემოსავალი

შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

სხვა ხარჯები

კომპანია აღიარებს მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშგებო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

ოჯარა

საოპერაციო ოჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 GEL / 1 USD	2.8068	2.6894
1 GEL / 1 EURO	2.9306	2.9753

4. არსებითი სააღრიცხვო დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების მიმდინარე ვადები ზემოთ მე-3 შენიშვნაშია მოცემული.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად გადახედავს ფინანსურ აქტივებს გაუფასურებასთან მიმართებაში. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით, კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება ფინანსური აქტივების გაუფასურების, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურებას მოგება-ზარალში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალეზადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობის გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. წინა პერიოდის მაკორექტირებელი გატარებები და რეკლასიფიკაცია

კომპანიამ მოახდინა წინა პერიოდის მაკორექტირებელი შესწორებები მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გადაანგარიშების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე:

1 იანვარი, 2023	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
ძირითადი საშუალებები	1,890,068	20,554	1,910,622
არამატერიალური აქტივები	171	1	172
მარაგები	4,792,168	(243,427)	4,548,741
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,012,139	1,514,487	2,526,626
გაცემული სესხები	1,308,978	(1,308,978)	-
საგადასახადო აქტივი, წმინდა	26,752	(1,306)	25,446
გრძელვადიანი სესხები	(4,084,977)	154,746	(3,930,231)
მოკლევადიანი სესხები	(402,485)	(167,288)	(569,773)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(115,977)	(228,536)	(344,513)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	(23,144)	23,144	-
სხვა ვალდებულებები	(12,542)	12,542	-
გაუნაწილებელი მოგება	(5,126,938)	224,061	(4,902,877)
		-	

31 დეკემბერი, 2023	წინა ანგარიშგები ს მიხედვით	2023 წლის 1 იანვრის გადაანგარიშები ს ეფექტი	მაკორექტირებელ ი შესწორება	კორექტირებულ ი თანხა
ძირითადი საშუალებები	4,102,657		66,541	4,169,198
მარაგები	5,873,104		(388,579)	5,484,525
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,431,678		818,924	2,250,602
გაცემული სესხები	933,640		(800,151)	133,489
მოკლევადიანი სესხები	(405,099)		(20,372)	(425,471)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(230,173)		(198,580)	(428,753)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	(59,236)		59,236	-
სხვა ვალდებულებები	(13,084)		13,084	-
გაუნაწილებელი მოგება	(8,093,678)		449,897	(7,643,781)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)*

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე:

2023	წინა ანგარიშგე ბის მიხედვით	2023 წლის 1 იანვრის გადაანგარიშგ ბის ეფექტი	მაკორექტირებე ლი შესწორება	კორექტირებუ ლი თანხა
შემოსავალი	-		(23,663,607)	(23,663,607)
	(23,492,769			
საქონლის გაყიდვიდან	)		23,492,769	-
საქონლის გაყიდვიდან	(145,260)		145,260	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18,508,509		(522,328)	17,986,181
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	339,855		628,528	968,383
მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	-		909,097	909,097
სხვა შემოსავალი	(699,746)		699,746	-
სხვა ხარჯები	-		120,570	120,570
დასაქმებულთა ანაზღაურება	1,283,920		(1,283,920)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	157,179		(157,179)	-
საპროცენტო ხარჯი	352,795		7,287	360,082
საპროცენტო შემოსავალი	(2,491)		2	(2,489)
იჯარის ხარჯი	254,609		(254,609)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-		(52,145)	(52,145)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	23,440		157,548	180,988
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-		(1,183)	(1,183)
		224,061	225,836	

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2022	1,050,610	591,549	545,655	169,288	37,074	77,205	3,523	2,474,904
ძირითადი საშუალებების შემოსავლა	343,732	1,686,118	353,416	15,684	14,088	2,900	-	2,415,938
ძირითადი საშუალებების გასვლა	-	-	(220,801)	-	-	-	-	(220,801)
31 დეკემბერი 2023	1,394,342	2,277,667	678,270	184,972	51,162	80,105	3,523	4,670,041
ძირითადი საშუალებების შემოსავლა	-	114,318	130,209	65,258	315,708	6,990	-	632,483
ძირითადი საშუალებების გასვლა	-	-	-	-	(1,398)	-	-	(1,398)
31 დეკემბერი 2024	1,394,342	2,391,985	808,479	250,230	365,472	87,095	3,523	5,301,126
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი 2022	-	36,835	410,680	60,841	18,273	37,614	39	564,282
წლის ცვეთა	-	30,639	35,219	21,461	6,294	11,711	117	105,441
ცვეთის ამობრუნება	-	-	(168,880)	-	-	-	-	(168,880)
31 დეკემბერი 2023	-	67,474	277,019	82,302	24,567	49,325	156	500,843
წლის ცვეთა	-	76,822	54,553	23,713	68,344	12,597	117	236,146
ცვეთის ამობრუნება	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	-	144,296	331,572	106,015	92,911	61,922	273	736,989
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2023	1,394,342	2,210,193	401,251	102,670	26,595	30,780	3,367	4,169,198
31 დეკემბერი 2024	1,394,342	2,247,689	476,907	144,215	272,561	25,173	3,250	4,564,137

2024 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით სრულად გაცვეთილი აქტივების ისტორიული ღირებულება შეადგენს 305,340 ლარს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 266,373. კომპანიის ძირითადი საშალებები მიწა და შენობა ნაგებობები წარმოადგენს საბანკო კრედიტის უზრუნველყოფას.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. მარაგები

მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
გასაყიდად გამიზნული მარაგები	9,721,467	5,509,397
მოხმარებადი მასალები	28,086	15,652
სხვა მარაგი	88,578	348,055
ნელა მოძრავი მარაგების რეზერვი	(211,929)	(388,579)
სულ მარაგები	9,626,202	5,484,525

მარაგების რეზერვის მოძრაობა:

	2024	2023
1 იანვარი	388,579	243,523
დარიცხვა	152,937	170,205
ამოტრიალება	(329,587)	(25,149)
31 დეკემბერი	211,929	388,579

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,967,386	1,431,748
გადახდილი ავანსები	684,557	939,424
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(179,759)	(120,570)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,472,184	2,250,602

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებებთან. სავაჭრო მოთხოვნების საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	120,570	-
დარიცხვა	65,630	120,570
ამოტრიალება	(6,441)	-
31 დეკემბერი	179,759	120,570

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	355,726	515,532
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	145,281	1,112
ნაღდი ფული	78,367	209,668
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	579,374	726,312

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. მიღებული სესხები

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს შემდეგი სესხები:

სესხის გამცემი	საპროცენტო განაკვეთი	დაწყების თარიღი	დამთავრების თარიღი	ვალუტა	სესხის ძირი	გადასახდელი ძირი 12/31/2024	გადასახდელი პროცენტი 12/31/2024	სულ ჯამი
კომერციული ბანკი 1	5.0%	3/30/2022	3/27/2026	USD	555,000	527,103	501	527,604
კომერციული ბანკი 1	13.3%	12/2/2022	11/24/2025	GEL	800,000	277,990	1,985	279,975
კომერციული ბანკი 1	7.5%	10/27/2023	11/4/2030	USD	750,000	1,849,681	10,641	1,860,322
კომერციული ბანკი 1	10.5%	7/8/2024	7/21/2027	GEL	400,000	353,263	813	354,076
კომერციული ბანკი 2	7.00 (ჰეჯირების % - 0.50)	7/2/2024	7/2/2026	USD	500,000	1,321,477	-	1,321,477
კომერციული ბანკი 2	10.5%	8/6/2024	5/5/2026	GEL	325,000	267,543	2,001	269,544
ფიზიკური პირი 1	12%	12/31/2019	3/4/2025	GEL	5,100	5,100	-	5,100
						4,602,157	15,942	4,618,098
მოკლევადიანი ნაწილი								2,606,525
გრძელვადიანი ნაწილი								2,011,573
სულ ჯამი								4,618,098

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს შემდეგი სესხები:

სესხის გამცემი	საპროცენტო განაკვეთი	დაწყების თარიღი	დამთავრების თარიღი	ვალუტა	სესხის ძირი	გადასახდელი ძირი 12/31/2023	გადასახდელი პროცენტი 12/31/2023	სულ ჯამი
კომერციული ბანკი 1	5.0%	3/30/2022	3/27/2026	USD	555,000	875,797	1,414	877,211
კომერციული ბანკი 1	13.3%	12/2/2022	11/24/2025	GEL	800,000	544,612	29	544,641
კომერციული ბანკი 1	13.0%	9/1/2023	3/1/2024	GEL	400,000	399,999	4,274	404,273
კომერციული ბანკი 1	7.5%	10/27/2023	11/4/2030	USD	750,000	2,001,810	11,106	2,012,916
კომერციული ბანკი 3	10.5%	4/20/2021	8/12/2024	GEL	715,000	404,843	3,549	408,392
ფიზიკური პირი 1	12%	12/31/2019	3/4/2025	GEL	5,100	5,100	-	5,100
						4,232,161	20,372	4,252,533
მოკლევადიანი ნაწილი								1,597,759
გრძელვადიანი ნაწილი								2,654,774
სულ ჯამი								4,252,533

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. მიღებული სესხები (გაგრძელება)

სესხების მოძრაობა

	2024	2023
წლის საწყისი ნაშთი	4,252,533	4,500,004
სესხის მიღება	11,190,251	12,938,826
სესხის ძირის გადახდა	(10,707,161)	(13,073,572)
სესხის პროცენტის დარიცხვა	507,950	360,082
დარიცხული პროცენტის გადახდა	(525,410)	(353,567)
დარიცხული პროცენტის საშემოსავლო გადასახადი	(31)	(40)
საკუროსო ზარალი/(მოგება)	(100,033)	(119,200)
წლის საბოლოო ნაშთი	4,618,099	4,252,533

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
სავაჭრო ვალდებულებები	1,720,569	365,176
გადასახდელი ხელფასები	108,886	34,695
სხვა ვალდებულებები	15,388	28,882
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,844,843	428,753

12. საგადასახადო აქტივი, წმინდა

საგადასახადო ვალდებულებები და საგადასახადო აქტივები წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულება. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა შეიცავს 486,996 და 304,059 ლარის ოდენობის პირობით საგადასახადო ვალდებულებას.

13. შემოსავალი

შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	28,734,247	23,639,127
შემოსავალი მომსახურებიდან	114,468	145,259
სხვა საოპერაციო შემოსავალი	101,053	25,579
რეალიზებული პროდუქციის უკან დაბრუნება	(90,652)	(146,358)
სულ შემოსავალი	28,859,116	23,663,607

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

გაწეული მომსახურების თვითღირებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	21,997,260	17,858,782
ცვეთის ხარჯი	153,622	87,370
საწვავის ხარჯი	128,799	119,197
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	34,991	30,936
სხვა ხარჯი	103,162	7,102
უკან დაბრუნებული საქონელი	(66,545)	(117,206)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	22,804,219	17,986,181

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი**

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
დასაქმებულთა ხელფასები და სხვა ბენეფიტები	394,997	374,823
იჯარის ხარჯი	390,526	254,609
მომსახურების ხარჯი	178,048	71,377
ცვეთა და ამორტიზაცია	82,524	16,350
საბანკო გადასახადები და საკომისიოები	81,694	49,946
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	53,115	79,241
კომუნალური	47,564	33,032
ქონების გადასახადი	31,347	17,201
დაზღვევის ხარჯი	25,847	16,847
საოფისე ხარჯი	24,767	20,735
სხვა ხარჯი	79,219	34,222
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,389,648	968,383

16. მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები

მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის შედგება შრომის ანაზღაურებისგან.

17. საკურსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა ზარალი

კომპანიის საკურსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა მოგება/(ზარალი) 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით.

	2024	2023
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	(160,010)	(162,234)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	(160,010)	(162,234)
	2024	2023
რეალიზებული საკურსო მოგება/(ზარალი)	100,351	(60,078)
არარეალიზებული საკურსო მოგება/(ზარალი)	(260,361)	(102,156)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	(160,010)	(162,234)
	2024	2023
საკურსო მოგება/(ზარალი) ფინანსური ვალდებულებებიდან	100,033	119,200
საკურსო მოგება/(ზარალი) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებიდან	449	(179,274)
საკურსო მოგება/(ზარალი) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან	(131)	(4)
საკურსო მოგება/(ზარალი) ფულისა და ფულის ეკვივალენტებიდან	(260,361)	(102,156)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	(160,010)	(162,234)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***18. მოგების გადასახადის ხარჯი**

კომპანიას არ აქვს მოგების გადასახადის ხარჯი 2024 წლის 31 დეკემბერის და 2023 წლის დეკემბერის დასრულებულ წელს.

19. პირობითი ვალდებულებები**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები

შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტრიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

20. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი

(ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ 2025 წლის 27 თებერვალს გამოუშვა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მესამე გამოცემა, რომლის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობის

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	დამფუძნებელი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	დამფუძნებელი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,534	2,171	2,534	2,171
სულ აქტივები	2,534	2,171	2,534	2,171
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	5,100	-	5,100	-
სულ ვალდებულებები	5,100	-	5,100	-

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**

სრული შემოსავლის ანგარიშგება	2024		2023	
	დირექტორი	დამფუძლებლები	დირექტორი	დამფუძლებლები
საპროცენტო ხარჯი	-	612	-	612
სარეთო და ადმინისტრაციული ხარჯები	84,133	110,918	82,730	102,709

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ხელფასი და სხვა სარგებელი 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის შეადგენს:

	2024	2023
ხელფასი და სხვა სარგებელი	195,051	182,564

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა ისეთი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარება.

შპს „ტერა მოტორსი“
ს/კ 445386813
მის: საქართველო, ბათუმი,
ივანე მესხის ქ. #2

“TERA MOTORS” LLC
IN: 445386813
Address: Georgia, Batumi,
iv meskhis str. #2



შპს „ტერა მოტორსი“
2024 წლის
მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

„თერა მოტორსი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში „კომპანია“), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2010 წლის 11 ივნისი შემდეგი ნომრით: 445386813.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ბათუმი, ივანე მესხის ქ. #2

კომპანიის დირექტორი თენგიზ ანანიძე.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისა მდგომარეობით კომპანიის 50% წილის მფლობელი არის თენგიზ ნაგერვაძე, საქართველოს მოქალაქე და 50% წილის მფლობელი რამინ ნაგერვაძე, საქართველოს მოქალაქე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

სატვირთო და მსუბუქი ავტომობილის საბურავებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა. კომპანია თავის საქმიანობას ეწევა საქართველოში.

კომპანიის ძირითად მიზანს წარმოადგენს ის რომ მიაწოდოს ხარისხიანი საბურავები და მომსახურება ხელმისაწვდომ ფასებში.

ბაზრის მიმოხილვა და კომპანიის ადგილი

კომპანია „თერა მოტორსი“ საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების საბურავების მიწოდების სფეროში.

კომპანია «თერა მოტორსი»-ს გამორჩეულობას ბაზარზე უზრუნველყოფს:

- კომპანიის სტაბილურობა და საიმედოობა;
- ბიზნესის მართვაში თანამედროვე ინსტრუმენტებისა და სტანდარტების დანერგვა;
- კომპანიის გამართული შიდა მენეჯმენტი;
- პროდუქციით უწყვეტი მომარაგება მთელი საქართველოს მასშტაბით;
- სტაბილურად კონკურენტული ფასები;
- ინდივიდუალურად ჩვენს კომპანიაზე მორგებული პროგრამული უზრუნველყოფები, რაც ეხმარება კომპანიას ეფექტურობაში და პროცესების ოფტიმიზირებაში;
- მაღალი კომპეტენციის პროფესიონალური ადამიანებით დაკომპლექტებული გუნდი;
- უცხოელ პარტნიორებთან მრავალწლიანი ურთიერთობის გამოცდილება;
- კომპანიას გამოკვეთილი აქვს ხანგრძლივი და სანდო პარტნიორული ურთიერთობების გამოცდილება როგორც ადგილობრივ სადილერო კომპანიებთან, ასევე საცალო და კორპორატიულ მიმართულებით.

ყველა ეს ფაქტორი ერთობლიობაში განაპირობებს „თერა მოტორსის“ სტაბილურობას და შემდგომ განვითარებას.

კომპანიის ხედვა და მიზნები, განვითარების გეგმები

კომპანიის «თერა მოტორსის» მიზანია ყველა კატეგორიის მომხმარებელთან გრძელვადიანი პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

კომპანიის ხედვა ეფუძნება ლიდერობის განმტკიცებას ქართულ ბაზარზე და მომხმარებელთა ნდობის მაქსიმალურ მოპოვებას. ჩვენი მიზანია, უზრუნველყოთ ხარისხიანი პროდუქციისა და სერვისების მიწოდება, რაც ხელს შეუწყობს როგორც მომხმარებელთა კმაყოფილების, ასევე კომპანიის მდგრადი განვითარების ზრდას. განვითარების გეგმები მოიცავს, პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას, რეგიონულ ქსელში პოზიციების გაძლიერებას და გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას. რისკების შემცირების მიზნით, კომპანიის სტრატეგია გულისხმობს როგორც მომწოდებლების ასევე გაყიდვის წერტილების დივერსიფიცირებას.

კომპანიას მიაჩნია, რომ უნდა იყოს მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან ურთიერთობაში სანდო და ღია პარტნიორი. იგი თვლის, რომ წარმატება და კმაყოფილება მოაქვს მხოლოდ ბიზნეს ეთიკის პრინციპების დაცვით საქმიანობას და პროფესიონალიზმის, ღიაობისა და სამართლიანობის უმაღლესი დონის შენარჩუნებას.

კომპანიის წარმოდგენით მისი წარმატების მთავარი საფუძველი არის თანამშრომელთა მოტივირებული გუნდი და სწორი კორპორატიული კულტურა.

თითოეული თანამშრომელი ვალდებულია პასუხისმგებლობით მოეკიდოს თანამშრომლების, კლიენტების და საზოგადოების მოთხოვნებს.

კომპანიაში მიაჩნიათ, რომ ყველა ერთად ქმნის წარმატებას.

კომპანიას მიაჩნია, რომ ტოპ-მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის განვითარების მთლიანი სურათის დანახვაზე, თანამშრომლებისთვის კომფორტული სამუშაო რეჟიმის შექმნაზე და სამუშაოს ადეკვატური ანაზღაურების გაცემაზე,

შპს „თერა მოტორსის“ საქმიანი კავშირები დაფუძნებულია პროფესიულ, კოლეგიალურ და არადისკრიმინაციულ პრინციპებზე, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთხელშეწყობაზე.

კომპანიის კორპორაციული კულტურა გულისხმობს, რომ ყველა ადიქამდეს თავს სრულფასოვან თანამშრომლად, რომ იყოს ეფექტური გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების შესაძლებლობა, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი დელეგირება, რომ იყოს სიახლეებისა და ცვლილებებისადმი სწრაფად ადაპტირების საშუალება, რომ თითოეული თანამშრომელი გრძნობდეს სამართლიანობას, რომ არ იყოს პრივილეგირებული თანამშრომელი და რომ კომპანიაში არსებობდეს პროფესიული სრულყოფის, კარიერული და ფინანსური წინსვლის საშუალება.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების შესახებ

კომპანიას აქვს ფილიალები, საიდანაც ხდება საბუთთუმო და საცალო რეალიზაცია.

მაღაზია - აეროპორტი	ბათუმი, ივანე მესხის ქ#2
მაღაზია - ახალსოფელი ტერმ.	ქ ბათუმი, აფსაროსის ქუჩა #2
მაღაზია - გონიო	ბათუმი, მეფე მირიანის ქ. 6ა
მაღაზია - ზუგდიდი	ქალაქი ზუგდიდი სოხუმის ქ#92
მაღაზია - ნატახტარი	მცხეთის რ-ნი, სოფ. ნატახტარი
მაღაზია- მახვილური	ბათუმი, ფ.ხალვაშის გამზ. 227ა
მაღაზია- ანგისა	ბათუმი, ფ.ხალვაშის გამზ. 25

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანია პერიოდულად აკეთებს ბაზრის ანალიზს და გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს სიახლეებისა და მომხმარებლების მხრიდან ახალი საჭიროებების უზრუნველსაყოფად.

კომპანიის სტრუქტურა და კომპანიაში დასაქმებულები

კომპანია «თერა მოტორსის» სათაო ოფისი მდებარეობს ბათუმში.

საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 45-ს.

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის საანგარიშო პერიოდში წლის საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 28,859,116 ლარი, წმინდა მოგებამ შეადგინა 2,750,242 ლარი.

2023 წლის საანგარიშო პერიოდში წლის საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 23,663,607 ლარი, წმინდა მოგებამ შეადგინა 3,152,459 ლარი.

კომპანიის რენტაბელობის მაჩვენებლები შემდეგია:

	2024	2023
საერთო მოგების მარჟა	21%	24%
წმინდა მოგების მარჟა	10%	13%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2.56	3.69
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.62	1.27
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	(3.02)	(3.59)

რისკების ანალიზი

სავაჭრო რისკები

კომპანიისთვის მნიშვნელოვანი რისკ ფაქტორია სავალუტო რყევები და ლარის გაუფასურება, რაც არსებითად მოქმედებს შეძენილი საქონლის თვითღირებულებაზე და შესაბამისად გასაყიდ ფასზე, რადგან როგორც შეძენის ფასი, ასევე ტრანსპორტირების ხარჯების გაწევა ხდება უცხოურ ვალუტაში. გაზრდილი საცალო ფასები კი მნიშვნელოვნად ამცირებს რეალიზაციებს და მარჟებს. მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე ქვეყნის სტაბილურობა, რომელიც რათქმაუნდა ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც კომპანიის სტაბილურობისათვის ასევე სამომავლო განვითარებისათვის. ზემოთ აღნიშნული რისკების თავიდან აცილების მიზნით, კომპანიის პარტნიორები და კომპანიის ხელმძღვანელობას სისტემატიურად ახორციელებენ მონიტორინგს და ხდება შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, რომ ისე განისაზღვროს და დაკორექტირდეს საცალო ფასები, რომ ერთი მხრივ არ მოხდეს წამგებიანი ტრანზაქციების განხორციელება და არც ის, რომ ფასების განსაზღვრის დროს მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული კონკურენტუნარიანობის და საუკეთესო ფასის პრინციპი.

კომერციული რისკი

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო პროდუქციის მოწოდების შეჩერება უცხოელი მომწოდებლებისაგან

ამ მიზნით კომპანია ახდენს საწყობში მარაგების ოპტიმიზაციას და შესაძლო რისკებთან მიმართებაში საჭირო სხვა ღონისძიებებს.

სტრატეგიული რისკი

დაგეგმილი ზრდა მოითხოვს მნიშვნელოვანი ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებას, რომლის დეფიციტიც არის ბაზარზე. რესურსებზე ხელმიუწვდომლობა შეაფერხებს გეგმების რეალიზებას.

ამ მიზნით კომპანიის მენეჯმენტის მიზანია მუდმივი ოპტიმიზაცია, ინსტიტუციონალური ზრდის უზრუნველყოფა, რესურსების წყაროების დივერსიფიკაცია.

ფინანსური რისკი

ფინანსურ რისკებს შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია:

- ნაღდი ფულადი სახსრების დეფიციტი
- სავალუტო რისკები
- ამ რისკების შესამცირებლად, კომპანია აწარმოებს საბიუჯეტო პოლიტიკას, აუმჯობესებს დაგეგმარებას და ხარჯების კონტროლს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოსაწერად ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი /თენგიზ ანანიძე/

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025 წ

კომერციული რისკი

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო პროდუქციის მოწოდების შეჩერება უცხოელი მომწოდებლებისაგან

ამ მიზნით კომპანია ახდენს საწყობში მარაგების ოპტიმიზაციას და შესაძლო რისკებთან მიმართებაში საჭირო სხვა ღონისძიებებს.

სტრატეგიული რისკი

დაგეგმილი ზრდა მოითხოვს მნიშვნელოვანი ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებას, რომლის დეფიციტიც არის ბაზარზე. რესურსებზე ხელმიუწვდომლობა შეაფერხებს გეგმების რეალიზებას.

ამ მიზნით კომპანიის მენეჯმენტის მიზანია მუდმივი ოპტიმიზაცია, ინსტიტუციონალური ზრდის უზრუნველყოფა, რესურსების წყაროების დივერსიფიკაცია.

ფინანსური რისკი

ფინანსურ რისკებს შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია:

- ნაღდი ფულადი სახსრების დეფიციტი
- სავალუტო რისკები
- ამ რისკების შესამცირებლად, კომპანია აწარმოებს საბიუჯეტო პოლიტიკას, აუმჯობესებს დაგეგმარებას და ხარჯების კონტროლს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოსაწერად ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი /თენგიზ ანანიძე/

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025 წ

